ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

გ. გ. ადვოკატ ა. პ.-ის წინააღმდეგ

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კახაბერ წერეთელი - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინა კვაჭაძე – კოლეგიის წევრი

კობა ბოჭორიშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.02.2012

საჩივრის რეგისტრაციის № 024/12

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: ადვოკატ ა. პ.-ის მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. პ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2012 წლის 27 თებერვალს გ. გ.-მ მომართა ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ა. პ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი შვილი ა. გ. თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276–2 მუხლის მე–2 და მე–8 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ა. პ.-ს მიმართა იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ა. პ.-მ აირჩია დაცვის არასწორის ტაქტიკა, კერძოდ:ადვოკატმა ა. პ.-მ ა. გ.-ს ურჩია, დათანხმებოდა თავის ჩვენებას, რომელიც მოწმის სახით მისცა და სადაც არარეალური ფაქტები იყო დაფიქსირებული. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ა. პ.-ის რჩევით, ბრალდებულმა ა. გ.-მ აღიარა წაყენებული ბრალდება და თავი დამნაშავედ სცნო სსკ–ის 276–ე მუხლის მე–2 ნაწილში, ხოლო მე–8 ნაწილში – არა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ა. პ. წინასასამართლო სხდომაზე დაეთანხმა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და განაცხადა, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობა ალბათობის მაღალი ხარისხით იძლეოდა ვარაუდის საფუძველს, რომ ა. გ.-მ ჩაიდინა დანაშაული. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ა. პ.-მ წინასწარ არ შეათანხმა პოზიციები კლიენტთან და არ იმოქმედა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

1.5. საჩივრის ავტორის განცხადებით, ბრალდებულის ოჯახის მოთხოვნითა და სახსრებით, დაინიშნა ავტოტექნიკური ექსპერტიზა ავარიისას ავტომანქანის შეჯახების მექანიზმის დადგენის მიზნით. საჩივრის ავტორის განცხადებით, ბრალდების მხარის მტკიცებულებებს წარმოადგენდა მოწმეთა ჩვენებები და ავტოტექნიკური ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა შეჯახების კუთხე.

1.6. საჩივრის ავტორის განცხადებით, ბრალდებულის ოჯახმა გააფრთხილა ადვოკატი, რომ ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოში 5 დღით ადრე წარედგინა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა განუმარტა ოჯახის წევრებს, რომ მოაგვარებდა ყველაფერს.

1.7. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ა. პ.-მ არ წარადგენა სასამართლოში ხელშეკრულება ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, ა. გ.-ის საქმეში არ მოიპოვება შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ დანიშნული იყო ავტოტექნიკური ექსპერტიზა და ადვოკატი ამირან პოპიაშვილი აპირებდა ექსპერტიზის დასკვნის წარდგენას მტკიცებულების სახით.

1.8. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ა. პ.-მ 2011 წლის 23 აგვისტოს წინასასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ დანიშნული იყო ავტოტექნიკური

ექსპერტიზა და ექსპერტიზის დასკვნა იქნებოდა კვირის ბოლოს, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე დაცვის პოზიცია არ იყო ჩამოყალიბებული.

1.9. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ა. პ.-ის ექსპერტიზის დასკვნა გადაეცა 2011 წლის 29 აგვისტოს. ადვოკატმა ა. პ.-მ 2011 წლის 5 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ექსპერტიზის დასკვნა მზად არ იყო და მოითხოვა პროცესის გადადება. 2011 წლის 19 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ა. პ.-მ მოხსნა თავის შუამდგომლობას ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით წარდგენის თაობაზე და გაიხმო თავისი შუამდგომლობა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა განუმარტა, რომ ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას სააპელაციო სასამართლოში წარადგენდა.

1.10. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს არ განუმარტავს მისთვის, რომ ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის დაგვიანებით წარდგენისათვის სასამართლო დააჯარიმებდა მას; გ. გ.-მ განაცხადა, რომ თუ ეცოდინებოდა ამის შესახებ, იგი გადაიხდიდა თანხის ერთ ნაწილს, ხოლო მეორე - ადვოკატს თავად უნდა გადაეხადა, რადგან სწორედ მისი ბრალით არ იქნა წარდგენილი სასამართლოში ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით.

1.11. საჩივრის ავტორის განმარტებით, ბრალდებულმა ა. გ.-მ ადვოკატ ა. პ.-ის რჩევით მას აცილება განუცხადა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე.

1.12. საჩივრის ავტორის განცხადებით, მხარემ ექსპერტიზის დასკვნა წარადგინა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ ა. გ.-ს უარი უთხრა ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით დაშვებასა და განხილვაზე, რადგან ა. გ. პირველ ინსტანციაში დაეთანხმა ადვოკატ ა. პ.-ის შუამდგომლობას ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით წარდგენის გამოთხოვის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენი უცვლელი დატოვა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის არასწორი ქმედებების გამო ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ასახავდა ავარიის რეალურ სურათს არ იქნა მტკიცებულების სახით სასამართლოში წარდგენილი, 2011 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი მიღებული იქნა არაარსებითი მტკიცებულებების, მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე.

1.13. საჩივრის ავტორის დამატებითი ახსნა–განმარტებით, მისი შვილი დარჩა დაცვის გარეშე, რადგან ადვოკატმა ა. პ.-მ არ გამოიყენა ყველა საშუალება იმისთვის, რომ დაეცვა კლიენტი.

1.14. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა განუმარტა, რომ სხდომის ოქმში დაფიქსირებული არ არის გარკვეული გარემოებები, მაგრამ ადვოკატს არ გაუსაჩივრებია სხდომის ოქმი. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ა. პ.-მ

კანონის საფუძველზე არ მოახდინა მტკიცებულებების წარდგენა და დამაგრება საქმეში.

1.15. 2012 წლის 3 ოქტომბრის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატმა ა. პ.-მ არ აცნობა სასამართლოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე და არ წარადგინა ხელშეკრულება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; ასევე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატმა არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი იქნებოდა ჯარიმა ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებად წარსადგენად სააპელაციო სასამართლოში და არ განუმარტა ექსპერტიზის დასკვნის მნიშვნელობა. საჩივრის ავტორის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა მოხდა ადვოკატის ინიციატივით, რადგან ადვოკატმა ა. პ.-მ ურჩია განსასჯელს მისთვის აცილება გამოეცხადებინა საქმის განხილვის სააპელაციო ეტაპზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატის განმარტებით, ა. გ.-ის დაცვა დაიწყო 2011 წლის 29 ივნისს.

2.2. ადვოკატის განმარტებით, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობები და ბრალდებულს შეეფარდა 50 დღით თავისუფლების აღკვეთა.

2.3. ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის 30 აგვისტოს გამოძიებამ ადვოკატს გადასცა იმ მოწმეების ჩვენებები, რომლებიც ბრალდებულთან ერთად ავარიის დღეს იმყოფებოდნენ რესტორანში. ადვოკატის განმარტებით, გამოძიების მხარემ ადვოკატს გადასცა ტრასოლოგიური და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები. ადვოკატის განმარტებით, გამოძიების მიერ დაცვისათვის გადაცემულ მასალებში არ იყო ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულს წაუყენეს ბრალი 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

2.4. ადვოკატის განმარტებით, მას კლიენტისთვის არ მიუცია რჩევა, რომ დათანხმებოდა მოწმის სახით დაკითხვისას მიცემულ ჩვენებას. ადვოკატის განმარტებით, ჩვენება არ შეიცავდა არარეალურ ფაქტებს, რადგან ჩვენებიდან ირკვეოდა, რომ ბრალდებულს მართვის მოწმობა ჰქონდა ჩამორთმეული და ნასვამ მდგომარეობაში მართავდა საჭეს.

2.5. ადვოკატის განმარტებით, მისი მიმართვის საფუძველზე, 2011 წლის 11 აგვისტოს „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ დაინიშნა ავტო-ტექნიკური ექსპერტიზა დაჩქარებული წესით. ექსპერტიზის დასკვნა უნდა გაცემულიყო 5 დღეში. წინასასამართლო სხდომა ჩანიშნული იყო

2011 წლის 17 აგვისტოს, მაგრამ პროკურორი დაუკავშირდა ადვოკატს და შესთავაზა წინასასამართლო სხდომის გადადება 23 აგვისტოსთვის, რაზეც ადვოკატი დასთანხმდა.

2.6. ადვოკატის განმარტებით, წინასასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2011 წლის 23 აგვისტოს, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნა ამ დროისთვისაც არ იყო მზად. ადვოკატის განმარტებით, მან წინსასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ დანიშნული იყო ავტო–ტექნიკური ექსპერტიზა და იშუამდგომლა ექსპერტიზის შედგების მიღებისთანავე ექსპერტიზის დასკვნის სასამართლოში წარდგენის თაობაზე. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა. ადვოკატის განმარტებით, მან სხდომაზე დააყენა მხოლოდ ზეპირი შუამდგომლობა, ჯერ არარსებულ დოკუმენტზე - ექსპერტიზის დასკვნაზე წერილობითი შუამდგომლობის დაყენება არ მიიჩნია საჭიროდ.

2.7. ადვოკატის განმარტებით, ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე პოზიციის ჩამოყალიბება ვერ მოხდებოდა. კერძოდ, ვერ დადგინდებოდა, შესაძლებელი იყო თუ არა საპროცესო შეთანხმების დადება.

2.8. ადვოკატის განმარტებით, იგი დაეთანხმა პროკურორის სიტყვას იმის თაობაზე, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობა მაღალი ალბათობით იძლეოდა ა. გ.-ის მიერ დანაშაულის ჩადენის ვარაუდის საფუძველს, თუმცა, ადვოკატმა იქვე დასძინა, რომ ასეთი დასკვნის გაკეთება შესაძლებელი იყო პროკურორის წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ შეიცვლებოდა მდგომარეობა.

2.9. ადვოკატის განმარტებით, ექსპერტიზის დასკვნა მზად იყო 2011 წლის 26 აგვისტოს, რის შესახებაც მას ეცნობა მოკლე ტექსტური შეტყობინებით. 2011 წლის 27-28 აგვისტო იყო შაბათ-კვირა, ამიტომ ადვოკატმა ექსპერტიზის დასკვნა ჩაიბარა 2011 წლის 29 აგვისტოს, რასაც ადასტურებს გადახდის ქვითარი.

2.10. ადვოკატის განმარტებით, საქმის არსებითი განხილვის დროს, 2011 წლის 5 სექტემბერს მას უკვე ჰქონდა ექსპერტიზის დასკვნა და დააყენა ზეპირი შუამდგომლობა მისი მტკიცებულებად დართვის თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა მისი წარდგენისთვის დადგენილი საპროცესო ვადის გაშვების გამო.

2.11. ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის 6 სექტემბრს მიმართა სასამართლოს გაშვებული ვადის აღდგენისა და ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებად მიღების მოთხოვნით. შემდეგი სასამართლო სხდომა გაიმართა 2011 წლის 19 სექტემბერს, სადაც მოსამართლემ ადვოკატს განუმარტა, რომ 2011 წლის 6 სექტემბრის შუამდგომლობას ზეპირი მოსმენის გარეშე ვერ განიხილავდა.

ადვოკატის განმარტებით, მან ისარგებლა მტკიცებულების წარდგენის განსაკუთრებული უფლებით, რაც გახდა სხდომის გადადების საფუძველი. ადვოკატის განცხადებით, მოსამართლემ განუცხადა, რომ ბრალდებულს მოუწევდა გირაოს, 5 000 ლარის ოდენობით გადახდა და მხარესთან ჩამოყალიბებულიყო აღნიშნულის თაობაზე. ადვოკატის განცხადებით, კლიენტი თანახმა არ გახლდათ და ადვოკატმა 2011 წლის 28 სექტემბერს შუამდგომლობა გამოიხმო.

2.12. ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს სთხოვა იგი, როგორც ადვოკატი აეცილებინა, არ ეღიარებინა ბრალი და სააპელაციო სასამართლო მხედველობაში მიიღებდა იმ მტკიცებულებებს, რომელიც პირველმა ინსტანციამ არ მიიღო.

2.13. 2012 წლის 3 ოქტომბრის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა ა. პ.-მ დამატებით განმარტა, რომ ექსპერტიზის ბიუროსთან დადებული ხელშეკრულება არ გადასცა პროკურორს მტკიცებულებათა გაცვლის ეტაპზე და წერილობით არ აცნობა აღნიშნულის თაობაზე, ასევე არ წარადგინა 2011 წლის 23 აგვისტოს წინასასამართლო სხდომაზე, რადგან ხელშეკრულება არ ჩათვალა მტკიცებულებად, რადგან არ შეიცავდა კლიენტის გამამართლებელ ინფორმაციას.

2.14. ადვოკატ ა. პ.-ის განმარტებით, 2011 წლის 5 სექტემბერს მან დააყენა ზეპირი შუამდგომლობა ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შესახებ, რაზეც უარი მითხრეს ვადის გაშვების გამო. ადვოკატის განმარტებით, მისი ზეპირი შუამდგომლობა არ დაფიქსირდა 2011 წლის 5 სექტემბრის სასამართლოს სხდომის ოქმში. ადვოკატის განმარტებით, იგი სხდომის ოქმში შენიშვნების გაკეთებას აპირებდა პირველ ინსტანციაში სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ.

2.15. ადვოკატის განმარტებით, მას სურდა ესარგებლა მტკიცებულების წარდგენის განსაკუთრებული უფლებით და ექსპერტიზის დასკვნა წარედგინა სასამართლოში მტკიცებულების სახით, რისთვისაც უნდა გადაეხადათ ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა უარი თქვა ამ თანხის გადახდაზე, შესაბამისად შუამდგომლობა აღნიშნულის თაობაზე გამოითხოვა.

2.16. ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის 5 და 19 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე მის კლიენტს ჰყავდა მეორე ადვოკატი, რომელთან ერთადაც აანალიზებდა საქმესთან დაკავშირებულ საკითხებს.

2.17. ადვოკატის განმარტებით, იგი სააპელაციო სასამართლოში ექსპერტიზის დასკვნის წარდგენას აპირებდა სსსკ-ის 297 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2.18. ადვოკატის განმარტებით, კლიენტთან საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა მოხდა მისი ინიციატივით, რადგან აღნიშნულ საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვის შემდეგ მიხვდა, რომ კლიენტს მის მიმართ ნდობა აღარ ჰქონდა. ამასთანავე ადვოკატის

განმარტებით, იგი მიიჩნევდა, რომ თუ სხვა ადვოკატი წარადგენდა შუამდგომლობას სააპელაციო სასამართლოში ექსპერტიზის მტკიცებულებად დართვის თაობაზე, სააპელაციო სასამართლო დააკმაყოფილებდა შუამდგომლობას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2012 წლის 27 იანვარს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. პ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ა. პ.-ის მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე“ პუნქტი და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, მე-6 ნაწილი და მე-14 ნაწილი.

3.3. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა ა. პ.-მ ავტოტექნიკური ექსპერტიზის თაობაზე არ წარადგინა მტკიცებულება სასამართლოში კანონით დადგენილი წესით, ადგილი ექნება ადვოკატის მიერ არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელებას.

3.4. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ თუ ადვოკატმა ა. პ.-მ კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და კლიენტისათვის შესაძლო შედეგების განმარტების გარეშე მოხსნა შუამდგომლობა, ადგილი ექნება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევას.

3.5. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატმა დაითანხმა კლიენტი მისი აცილება დაეყენებინა პროცესზე იმ საფუძვლით, რომ მოსამართლე მის მიმართ ტენდეციურად იხილავდა საქმეს, ადგილი ექნება ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების პატიოსნად და უშიშრად დაცვის ვალდებულების დარღვევას.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. **ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:**

4.1.1. ადვოკატმა ა. პ.-მ 2011 წლის 11 აგვისტოს განცხადებით მიმართა სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“

ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის მიზნით და გააფორმა ხელშეკრულება ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ა. პ.-ის 2012 წლის 9 მარტის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 54
2. სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2011 წლის 26 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნა, საქმის ფურცელი 47

4.1.2. ადვოკატმა ა. პ.-მ სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2011 წლის 26 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნა ჩაიბარა 2011 წლის 29 აგვისტოს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ა. პ.-ის 2011 წლის 9 მარტის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 55
2. ლიბერთი ბანკის 2011 წლის 29 აგვისტოს შემოსავლის ორდერი #1, საქმის ფურცელი 45

4.1.3. ადვოკატმა ა. პ.-მ 2011 წლის 6 სექტემბერს თელავის რაიონულ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით 2011 წლის 26 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ა. პ.-ის 2011 წლის 9 მარტის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 55
2. ადვოკატ ა. პ.-ის 2011 წლის 6 სექტემბრის განცხადება, საქმის ფურცელი 58

4.1.4. ადვოკატმა ა. პ.-მ 2011 წლის 19 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე მოხსნა 2011 წლის 6 სექტემბრის შუამდგომლობა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის წარსადგენად მტკიცებულების სახით საქმეზე დართვის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ა. პ.-ის 2011 წლის 9 მარტის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 55
2. თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 19 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმი; საქმის ფურცელი 30

4.1.5. ბრალდებულმა ა. გ.-მ 2011 წლის 28 სექტემბრის თელავის რაიონული სასამართლო სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა ადვოკატ ა. პ.-ის აცილების თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. გ. გ.-ს 2012 წლის 27 თებერვლის საჩივარი, საქმის ფურცელი 2
2. თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმი; საქმის ფურცელი 33

4.2. **საქმეში დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:**

4.2.1. წარმოადგენდა თუ არა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშნვის შესახებ ხელშეკრულება მტკიცებულებას, რომელიც ადვოკატ ა. პ.-ს უნდა წარედგინა ბრალდების მხარისა და სასამართლოსთვის წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე.

ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ:

ა) საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ა. პ.-ს ბრალდების მხარისა და სასამართლოსთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია, რომ დაცვის მხარის მიერ დანიშნული იყო ავტოტექნიკური ექსპერტიზა და დაცვის მხარე აპირებდა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის წარდგენას მტკიცებულების სახით სასამართლოში, რაც ადვოკატმა არ განახორციელა.

ბ) ადვოკატ ა. პ.-ის განმარტებით, მან არ მიაწოდა ბრალდების მხარეს და სასამართლოს ინფორმაცია ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, რადგან არ მიიჩნევდა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას მტკიცებულებად, რომელიც უნდა გაეცვალა ბრალდების მხარისათვის და წარედგინა სასამართლოში. ადვოკატის განმარტებით, მას აღნიშნული ვალდებულება სსსკ-ის 83-ე მუხლი მე-6 ნაწილის თანახმად, გააჩნია მხოლოდ მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში.

ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატ ა. პ.-ს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გააჩნდა ვალდებულება წარედგინა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესახებ ხელშეკრულება ბრალდების მხარისა და სასამართლოსთვის, რადგან აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენდა ინფორმაციას, რომ დაცვის მხარემ დანიშნა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა და აპირებდა ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით სასამართლოში წარდგენას.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს გარემოებას, რომ ავტოტექნიკური ექსპერტის დასკვნის შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენდა სსსკ-ის 83 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატ ა. პ.-ს უნდა მიეწოდებინა ბრალდების მხარისა და სასამართლოსათვის წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე. ადვოკატმა ა. პ.-მ არ წარუდგინა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ხელშეკრულება ბრალდების მხარესა და სასამართლოს 2011 წლის 23 აგვისტოს წინასასამართლო სხდომამადე 5 დღით ადრე, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა ა. პ.-მ აღნიშნული ხელშეკრულება 2011 წლის 11 აგვისტოს გააფორმა .

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2011 წლის 26 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნა, საქმის ფურცელი 47

4.2.2. წარადგინა თუ არა ადვოკატმა ა. პ.-მ შუამდგომლობა 2011 წლის 5 სექტემბრის სასამართლოს სხდომაზე 2011 წლის 26 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნისა და გადახდის ქვითრის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვის თაობაზე.

ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ:

ა) საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ა. პ.-მ 2011 წლის 5 სექტემბრის სასამართლოს სხდომაზე არ წარადგინა შუამდგომლობა 2011 წლის 26 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნისა და გადახდის ქვითრის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვის თაობაზე იმის მიუხედავად, რომ მას ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა ჩაბარდა 2011 წლის 29 აგვისტოს.

ბ) ადვოკატ ა. პ.-ის განმარტებით, მან 2011 წლის 5 სექტემბრის სასამართლოს სხდომაზე წარადგინა ზეპირი შუამდგომლობა 2011 წლის 26 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვის თაობაზე, რომელიც არ არის ასახული სასამართლოს სხდომის ოქმში და რომელის დაკმაყოფილებაზეც თელავის რაიონულმა სასამართლომ უარი განაცხადა.

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. პ.-ის მიერ 2011 წლის 5 სექტემბერს განხორციელებული საპროცესო ქმედებები დადასტურებულია თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 სექტემბრის სხდომის ოქმით, რომელშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. 2011 წლის 5 სექტემბრის სხდომის ოქმის თანახმად, ადვოკატმა ა. პ.-მ სასამართლოს განუცხადა, რომ ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა არ იყო მზად და

მოითხოვა სასამართლო სხდომის გადადება ადვოკატ ა. პ.-ს არ წარუდგენია საჩივარი 2011 წლის 5 სექტემბრის სხდომის ოქმში ასახული გარემოებების ნამდვილობის თაობაზე.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს გარემოებას, რომ ადვოკატმა ა. პ.-მა 2011 წლის 5 სექტემბრის სასამართლოს სხდომაზე არ წარადგინა შუამდგომლობა 2011 წლის 26 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნისა და გადახდის ქვითრის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვის თაობაზე და სასამართლოს მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, რომ ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა 2011 წლის 5 სექტემბერს არ იყო მზად.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 სექტემბრის სხდომის ოქმი; საქმის ფურცელი 29

4.2.3. მიაწოდა თუ არა ადვოკატმა ა. პ.-მ კლიენტს ინფორმაცია სსსკ-ის 84-ე მუხლით განსაზღვრული დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლებით სარგებლობის პირობების შესახებ და განუმარტა თუ არა 2011 წლის 6 სექტემბრის შუამდგომლობის მოხსნის შედეგები, რომელიც შეეხებოდა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვას.

ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორებსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ:

ა) საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ა. პ.-მ არ განუმარტა მტკიცებულების წარდგენის საგამონაკლისო უფლებით სარგებლობისას ჯარიმის გადახდის აუცილებლობა და თანხის გადაუხდელობის შედეგები. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი გადაიხდიდა აუცილებელ თანხას, თუ სათანადოდ იქნებოდა ინფორმირებული, რადგან ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენდა განსასჯელის გამამართლებელ ერთადერთ მტკიცებულებას. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ა. პ.-მ არ განუმარტა 2011 წლის 6 სექტემბრის შუამდგომლობის მოხსნის შედეგები და უთხრა, რომ სააპელაციო სასამართლო მიიღებდა ექსპერტიზის დასკვნას სსსკ-ის 297 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ბ) ადვოკატ ა. პ.-ის განმარტებით, მან მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია საგამონაკლისო უფლებით სარგებლობისას ჯარიმის გადახდის აუცილებლობის თაობაზე, მაგრამ კლიენტმა უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე. ადვოკატის განმარტებით, მან განუმარტა კლიენტს, რომ სააპელაციო სასამართლო მიიღებდა ექსპერტიზის დასკვნას სსსკ-ის 297-ე მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორს გააჩნდა იურიდიული ინტერესი სასამართლოში მტკიცებულების სახით წარედგინა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა და მზად იყო გადაეხადა საგამონაკლისო უფლებით სარგებლობისათვის აუცილებელი თანხა ჯარიმის სახით. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორი 2011 წლის 6 სექტემბრის შუამდგომლობის მოხსნას დაეთანხმა ადვოკატ ა. პ.-ის კონსულტაციის შედეგად, რომელმაც განუმარტა, რომ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ მტკიცებულების მიღების სამართლებრივი საფუძველი და ჯარიმის გადახდა არ იქნებოდა საჭირო.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს გარემოებას, რომ ადვოკატმა ა. პ.-მ კლიენტს განუმარტა, რომ სააპელაციო სასამართლო სსსკ-ის 297-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიიღებდა ექსპერტიზის დასკვნას მტკიცებულების სახით და კლიენტმა უარი განაცხადა მტკიცებულების წარდგენის საგამონაკლისო უფლებით სარგებლობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. გ. გ.-ს 2012 წლის 27 თებერვლის საჩივარი, საქმის ფურცელი 2
2. ადვოკატ ა. პ.-ის 2011 წლის 9 მარტის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 56

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. პ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. პ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:
ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები.”

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

გ) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებული დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

დ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდეს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის და საქმის მიმდინარეობის თაობაზე.“

6.2. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი ა. პ. ახორციელებდა საჩივრის ავტორის შვილის, განსასჯელ ამირან გორაშვილის ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

6.3. ადვოკატი ვალდებულია, დაცვის განხორციელების პროცესში, კლიენტის დავალებით და მისი სახელით, შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება. ადვოკატი ვალდებულია, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოში, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ მტკიცებულების წარდგენისათვის კანონით დადგენილი წინაპირობების შესრულებასა და დადგენილი საპროცესო ვადების დაცვას.

6.4. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ სასამართლოში მტკიცებულების წარდგენისათვის დადგენილი ერთ-ერთი წინაპირობა განსაზღვრულია სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით, რომელიც მხარეებს ავალდებულებს ერთმანეთსა და სასამართლოს წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული ინფორმაცია იმ მტკიცებულებების თაობაზე, რომლის წარდგენასაც სასამართლოში აპირებენ. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ „ინფორმაციაში“ იგულისმხმება უკვე მოპოვებული მტკიცებულებები ან ის დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს, რომ მხარე ნამდვილად აპირებს მტკიცებულების მოპოვებასა და სასამართლოში წარდგენას საქმის განხილვის პროცესში.

6.5. ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, თუმცა, კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ ექსპერტიზის დასკვნის მომზადების თაობაზე მხოლოდ განცხადების წარდგენა ექსპერტიზის ბიუროში. ადვოკატმა უნდა განახორციელოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედებები, რათა ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით წარადგინოს სასამართლოში და დაურთოს სისხლის საქმეს.

6.6. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე 096/11 დაადგინა: *„სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. ადვოკატს ევალება გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც სისხლის სამართლის საქმეზე*

კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს.“

6.7. ადვოკატმა ა. პ.-მ ვერ უზრუნველყო განსასჯელ ა. გ.-ის ინტერესების ეფექტური დაცვა, რადგან ადვოკატმა 2011 წლის 26 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა არ წარადგინა თელავის რაიონულ სასამართლოში საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ 2011 წლის 26 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა მომზადდა დაცვის მხარის ინიციატივით, დაჩქარებული წესით, რისთვისაც დაცვის მხარეს დაჩქარებული მომსახურებისათვის დამატებითი თანხის გადახდა მოუხდა და შესაბამისად გააჩნდა იურიდიული ინტერესი ექსპერტიზის დასკვნა წარედგინა მტკიცებულების სახით სასამართლოში. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ დაცვის მხარისა და ადვოკატისათვის ცნობილი იყო, რომ ბრალდების მხარისა და სასამართლოსათვის 5 დღით ადრე უნდა მიეწოდებინათ მტკიცებულებები, რის გამოც გამოწვეული იყო ექსპერტიზის დაჩქარებული წესით დანიშვნა. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენდა მტკიცებულებას, რომელსაც შეეძლო დაედასტურებინა განსასჯელის უდანაშაულობა წაყენებულ ბრალდებაში.

6.8. ადვოკატმა ა. პ.-მ ამირან გორაშვილის ინტერესების დაცვის პროცესში არ განახორციელა საპროცესო მოქმედებები, რის გამოც სასამართლომ არ მიიღო ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. ადვოკატმა ა. პ.-მ არ მიაწოდა ბრალდების მხარესა და სასამართლოს ინფორმაცია ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა სსსკ-ის 83 მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი წესით. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ა. პ.-მ ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა 2011 წლის 11 აგვისტოს, ხოლო წინასასამართლო სხდომა დანიშნული იყო 2011 წლის 17 აგვისტოსთვის და გადაიდო 2011 წლის 23 აგვისტოსთვის. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ა. პ.-ს 2011 წლის 23 აგვისტოს წინასასამართლო სხდომისათვის ჰქონდა ინფორმაცია, რომ სასამართლოში აპირებდა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებად წარდგენას ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ხელშეკრულების სახით.

6.9. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ა. პ.-მ 2011 წლის 5 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე არ წარადგინა 2011 წლის 26 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა ჩაიბარა 2011 წლის წლის 29 აგვისტოს და სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ექსპერტიზის დასკვნა არ იყო მზად. ეთიკის კომისია ვერ გაითვალისწინებს ადვოკატის პოზიციას, რომ მან წარადგინა ზეპირი შუამდგომლობა მტკიცებულების დართვის თაობაზე სასამართლოს წინაშე და სასამართლომ არ მიიღო აღნიშნული შუამდგომლობა, რადგან 2011 წლის 5 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმში არ არის აღნიშნული ზეპირი შუამდგომლობის წარდგენის თაობაზე. ეთიკის კომისია უთითებს,

რომ ადვოკატ ა. პ.-ს არ გაუსაჩივრებია 2011 წლის 5 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმი.

6.10. ადვოკატმა ა. პ.-მ 2011 წლის 6 სექტემბერს შუამდგომლობით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვის თაობაზე, რაც სასამართლოს მიერ არ იქნა მიღებული იმ საფუძვლით, რომ ადვოკატმა ა. პ.-მ არ დაიცვა სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები და გაუშვა სასამართლოსთვის მტკიცებულების წარდგენის საპროცესო ვადა.

6.11. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ა. პ.-მ ვერ უზრუნველყო ავტოტექნიკური ექსპერტიზის მტიცებულების სახით სასამართლოში წარდგენა, რადგან არ დაიცვა მტკიცებულების წარდგენისათვის სსსკ-ის 83-ე მუხლის ,,დ“ პუნქტით დადგენილი წინაპირობები და საპროცესო ვადები, რამაც გამოიწვია სასამართლოს უარი ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვის თაობაზე.

6.12. ადვოკატმა, წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში, უნდა მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გულისხმობს, რომ ადვოკატმა სათანადოდ უნდა განუმარტოს კლიენტს რა შედეგი მოყვება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებას, რომ კლიენტს შეეძლოს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება.

6.13. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე 074/10 დაადგინა: ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე. კლიენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება.“

6.14. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა ა. პ.-მ ვერ უზრუნველყო კლიენტისათვის სსსკ-ის 84-ე მუხლით განსაზღვრული დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლებით სარგებლობის პირობებისა და შედეგების თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება. ადვოკატმა ა. პ.-მ არ განუმარტა კლიენტს, რომ საგამონაკლისო უფლება წარმოადგენდა ერთადერთ საპროცესო საშუალებას ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვის უზრუნველსაყოფად და კლიენტი ვალდებული იყო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ჯარიმა გადაეხდა.

6.15. ადვოკატმა ა. პ.-მ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს, როდესაც განუმარტა, რომ სააპელაციო სასამართლო მიიღებდა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას სსსკ-ის 297-ე მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რადგან აღნიშნული მუხლი უშვებს შესაძლებლობას სააპელაციო სასამართლომ მიიღოს ახალი მტკიცებულება, თუ მისი წარმოდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში ობიექტურად შეუძლებელი იყო და არა იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ დარღვეული არის საპროცესო კანონმდებლობით მტკიცებულების წარდგენისთვის განსაზღვრული საპროცესო ვადა.

6.16. ადვოკატ ა. პ.-ის მიერ კლიენტისათვის სსსკ-ის 84 მუხლით საგამონაკლისო უფლებით სარგებლობის პირობებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის და სსსკ-ის 297-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდების შედეგად, ა. გ. 2011 წლის 17 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე დაეთანხმა ადვოკატ ა. პ.-ს 2011 წლის 6 სექტემბრის შუამდგომლობის გამოთხოვის თაობზე, რაც გულისხმობდა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვას. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ა. გ.-მ სააპელაციო სასამართლოში ვეღარ მოახერხა მტკიცებულების წარდგენის საგამონაკლისო უფლებით სარგებლობა, რადგან 2011 წლის 17 სექტემბერს უარი თქვა 2011 წლის 6 სექტემბრის შუამდგომლობაზე და სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით.

6.17. ადვოკატმა ა. პ.-მ კლიენტის წარმომადგენლობის შეწყვეტა განახორციელა ამირან გორაშვილის მიერ 2011 წლის 28 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე ადვოკატის აცილების შესახებ შუამდგომლობის დაყენების შედეგად. ადვოკატის განმარტებით, მან თავად ურჩია კლიენტს მისი აცილება მოეთხოვა, რადგან სასამართლო მის მიმართ იყო ტენდენციური და კლიენტის ინტერესებისათვის უმჯობესი იქნებოდა თუ მისი ინტერესების დაცვას სააპელაციო სასამართლოში სხვა ადვოკატი განახორციელებდა ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა ა. პ.-მ არასწორი კონსულტაცია გაუწია ა. გ.-ს მისი აცილების შედეგების თაობაზე, როდესაც განუმარტა, რომ სხვა ადვოკატის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულების სახით საქმეზე დართვის თაობაზე სააპელაციო სასამართლო მიიღებდა.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, მე-5 მუხლის ,,ე“ პუნქტით და მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისმე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილით, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ა. პ.-ის /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნოთ გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.

3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატს შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ზუბალაშვილების ქუჩა #32) მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კახაბერ წერეთელი/

კოლეგიის წევრი: /მარინა კვაჭაძე/

კოლეგიის წევრი: /კობა ბოჭორიშვილი/